ორი მატჩი ლესელიძეში

ლესელიძის საფეხბურთო მინდორზე 28 თებერვალს გაიმართა საკონტროლო მატჩი. თბილისის "დინამოს" და იაროსლავლის "შინიკს" შორის. დინამოელები მე–20 წუთზე დაწინაურდნენ გ. ნოდიას მიერ გატანილი გოლით, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ "შინიკმა" შეძლო საპასუხო ბურთის გატანა – 1:1.

ტაიმის დასასრულს იაროსლავლელთა საჯარიმო მოედანზე შექმნილ კრიტიკულ მომენტში არაზუსტად ითამაშა ერთ–ერთმა მცველმა და საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი –2:1.

მეორე ტაიმში ინიციატივას თბილისელები ფლობდნენ. ერთ–ერთ კომბინაციას გ. ნოდიას, ყიფიანსა და მჭედლიშვილს შორის მოჰყვა ამ უკანასკნელის მიერ გატანილი გოლი. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა თბილისის "დინამომ". გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, მჭედლიშვილი, მაჩაიძე, გავაშელი, ყიფიანი, გ. ნოდია, წერეთელი.

”ლელო” 2.3.1977 წ.